თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

მორიგი სხდომის

ო ქ მ ი № 15

28 დეკემბერი 2022 წ. ქ. თელავი

სხდომას ესწრებოდნენ: 2021 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შედეგად, თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრად არჩეული 34 დეპუტატი :

თავმჯდომარეობდა: თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე - **თენგიზი მთვარელიშვილი;**

ესწრებოდნენ:

საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე **მამუკა ბურდიაშვილი;**

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეები: **ალექსანდრე შათირიშვილი;**

მიხეილ დაღუნდარიძე;

საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო და იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე **ლევან ბერძენაშვილი;**

საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე **ზურაბ ლილუაშვილი;**

საკრებულოს სოციალური, კულტურის, განათლების და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე **გიორგი ხაჭაპურიძე;**

საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე **თინათინ ხანჯალიაშვილი;**

სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების, ინფრასტრუქტურის და ბუნებრივი რესურსების კომისიის თავმჯდომარე **ლევან კოჭლოშვილი;**

საკრებულოს ფრაქციის „ქართული-ოცნება დემოკრატიული საქართველო“ თავმჯდომარე **დავით ღაღანიძე;**

საკრებულოს ფრაქციის „ქართული-ოცნება დემოკრატიული საქართველო“ თავმჯდომარის მოადგილეები: **თამარ ხატიაშვილი, ოთარ ესიტაშვილი, ზურაბ მოსახლიშვილი, ზაზა ტატულიშვილი, უჩა ჭოტიაშვილი, ზურაბ მუსაევი.**

საკრებულოს ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ თავმჯდომარის მოადგილეები: **ბაადურ რევაზიშვილი, გიგი გიგიტელაშვილი. გელა ჭვრიტიძე, ეთერი გურგენაშვილი,**

საკრებულოს წევრები: ივანე კირვალიძე, ნიკოლოზ მაისურაძე, გივი ლაფაური, ეკატერინე ონიკაძე, გიორგი ქართლელიშვილი, მარიამ ლილუშვილი, ბაადურ გულიაშვილი, იმედა კევლიშვილი, ივანე დალაქიშვილი, ნატალია ბახსოლიანი, რუსუდანი იმერლიშვილი, რამაზი ჩეკურიშვილი, ალექსანდრე კუპატაძე, გელა ესიტაშვილი, (რეგისტრაციის ფურცელი თან ერთვის).

სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ:

თელავის მუნიციპალიტეტის მერი **ლევან ანდრონიკაშვილი;**

თელავის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე **ნიკოლოზ მეტრეველი;**

თელავის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე **ფიქრია ყუშიტაშვილი;**

თელავის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი **ნათია ვაყელიშვილი;**

თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი **თამარ ზაზანაშვილი;**

თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახურის უფროსი **გიორგი ენუქიძე;**

თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი **ზურაბ სახიაშვილი;**

თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობის, არქიტექტურის და ძეგლთა დაცვის სამსახურის უფროსი **თედო ხოსროშვილი;**

თელავის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტის სამსახურის უფროსი **თინათინ არაბული;**

თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობის, არქიტექტურის და ძეგლთა დაცვის სამსახურის სივრცითი მოწყობის, მშენებლობის და არქიტექტურის განყოფილების უფროსი **მალხაზ ბაღუაშვილი;**

თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსი **ტარიელ გალახვარიძე;**

საკრებულოს აპარატის პროფესიული საჯარო მოხელეები;

N10 ოლქის თელავის, ახმეტის, ყვარლის და ლაგოდეხის მუნიციპალიტეტების მაჟორიტარი პარლამენტის წევრის ირაკლი ქადაგიშვილის ბიუროს წარმომადგენელი **ნონა გოგატიშვილი;**

ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის თელავის ოფისის ხელმძღვანელი **მარეხი მგალობლიშვილი;**

მოქალაქე არჩილ მჭედლიშვილი;

ზ.სახიაშვილმა სხდომის დღის წესრიგში შესატანად წარმოადგინა საკითხი: „თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ა(ა)იპ „საქართველოს სამედიცინო ჰოლდინგისათვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, დროებით სარგებლობის უფლებით უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ თანხმობის მიცემის თაობაზე“

თ.ხოსროშვილმა სხდომის დღის წესრიგში შესატანად წარმოადგინა საკითხი: „თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 29 დეკემბრის №29 განკარგულებაში „თელავის მუნიციპალიტეტის მუნიციპალური ნარჩენების მართვის ხუთწლიანი გეგმის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე“.

ნ.ვაყელიშვილმა სხდომის დღის წესრიგში შესატანად წარმოადგინა საკითხი: „თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 28 დეკემბრის №22 დადგენილებაში „თელავის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე - ნორმატიული აქტის მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“.

აღნიშნული ცვლილებების გათვალისწინებით დღის წესრიგის დამტკიცებას მხარი დაუჭირა სხდომაზე დამსწრე საკრებულოს ყველა წევრმა.

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი დამტკიცდა შემდეგი რედაქციით:

1. თელავის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ.

მომხს. ლ.ანდრიაშვილი
თანამომხს. ნ.ვაყელიშვილი
12.00სთ-დან 12.30 სთ-მდე

2. „თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სახელმწიფოსათვის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ“.

მომხს. ნ.მეტრეველი
თანამომხს. ზ.სახიაშვილი
12.30.სთ-დან-12.40სთ-მდე

3. თელავის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების შესახებ.

მომხს. ნ.მეტრეველი
თანამომხს. მ.ბაღუაშვილი
12.40.სთ-დან-12.50სთ-მდე

4. თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ა(ა)იპ „მოვუსმინოთ სამყაროსათვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, დროებით სარგებლობის უფლებით უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ თანხმობის მიცემის თაობაზე.

მომხს. ნ.მეტრეველი
თანამომხს. ზ.სახიაშვილი
12.50.სთ-დან-13.00სთ-მდე

5. თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების შ.პ.ს „საქართველოს ფოსტისათვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ.

მომხს. ნ.მეტრეველი
თანამომხს. ზ.სახიაშვილი
13.00.სთ-დან-13.10სთ-მდე

6. თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული გარე განათების კონსტრუქციებზე სს „სილქნეტის“ მიერ ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელის განთავსების შესახებ თანხმობის მიცემის თაობაზე.

მომხს. ნ.მეტრეველი
თანამომხს. ზ.სახიაშვილი
13.10.სთ-დან-13.20სთ-მდე

7. თელავის მუნიციპალიტეტში დამხმარე ამოცანების შესრულების მიზნით შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის შესახებ.

მომხს. ნ.მეტრეველი
თანამომხს. თ.ზაზანაშვილი
13.20.სთ-დან-13.30სთ-მდე

8. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 28 იანვრის N3 დადგენილებაში „თელავის მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა პროგრამის დამტკიცების შესახებ“ ცვლილებების შეტანის თაობაზე.

მომხს. ფ.ყუშიტაშვილი
თანამომხს. გ.ენუქიძე
13.30.სთ-დან-13.40სთ-მდე

9. „თელავის მუნიციპალიტეტში სახელმწიფო და თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო - სამეურნეო დანიშნულების მიწის ზონირებისა და ნორმატიული ფასის განსაზღვრის შესახებ“- ნორმატიული აქტის მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ.

მომხს. ლ.ბერძენაშვილი
13.40.სთ-დან-13.50სთ-მდე

10. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 08 თებერვლის №12 დადგენილებაში „თელავის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე - ნორმატიული აქტის მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ.

მომხს. ლ.ბერძენაშვილი
13.50.სთ-დან-14.00სთ-მდე

11. „თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა თანამდებობრივი სარგოების და აპარატის პროფესიულ საჯარო მოხელეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ“ - ნორმატიული აქტის მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ.

მომხს. ლ.ბერძენაშვილი
14.00.სთ-დან-14.10სთ-მდე

12. ,,თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ - ნორმატიული აქტის მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ ვადის გაგრძელების თაობაზე.

მომხს. ლ.ბერძენაშვილი
14.10.სთ-დან-14.20სთ-მდე

13. „თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ა(ა)იპ „საქართველოს სამედიცინო ჰოლდინგისათვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, დროებით სარგებლობის უფლებით უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ თანხმობის მიცემის თაობაზე“

მომხს. ზ.სახიაშვილი

14.20.სთ-დან-14.30სთ-მდე

14. სხდომის დღის წესრიგში შესატანად წარმოადგინა საკითხი: „თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 29 დეკემბრის №29 განკარგულებაში „თელავის მუნიციპალიტეტის მუნიციპალური ნარჩენების მართვის ხუთწლიანი გეგმის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე“.

მომხს. თ.ხოსროშვილი

14.30.სთ-დან-14.40სთ-მდე

15. „თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 28 დეკემბრის №22 დადგენილებაში ,,თელავის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე - ნორმატიული აქტის მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“.

მომხს. ნ.ვაყელიშვილი

14.40.სთ-დან-14.50სთ-მდე

<u>1.მოისმინეს:</u> თელავის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ.

მომხს. ლ.ანდრიაშვილი
თანამომხს. ნ.ვაყელიშვილი
12.00სთ-დან 12.30 სთ-მდე

თელავის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის პროექტი წარმოადგინა მუნიციპალიტეტის მერმა **ლ.ანდრიაშვილმა,** მან ზოგადი მიმოხილვა გააკეთა ბიუჯეტის ძირითადი პარამეტრების, ინფრასტრუქტურული პროექტების, სოციალური სფეროს, განათლების, კულტურისა და სპორტის მიმართულებით, რის შემდგომაც სიტყვა გადასცა მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროს ნ.ვაყელიშვილს. 2023 წლის ბიუჯეტი დეტალურად წარმოადგინა ნ.ვაყელიშვილმა.

<u>აზრი გამოთქვეს:</u> **ბ.რევაზიშვილმა** ისაუბრა ალაზნის გამზირზე დაუსრულებელი სამუშაოების და სპორტული მოედნების მდგომარეობის შესახებ, აგრეთვე დასვა კითხვა გარე განათების პრობლემების, მუნიციპალური ტრანსპორტის გაჩერებების და 2022 წლის ბიუჯეტის აუთვისებელი თანხების შესახებ, მან აგრეთვე გულისტკივილი გამოთქვა იმ ფაქტთან დაკავშირებით, რომ ოპოზიციური ძალები არ იყვნენ ინფორმირებული მერის მიერ ანგარიშის წარდგენის შესახებ.

ე.გურგენაშვილმა დასვა კითხვა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ეზოების რეაბილიტაციასთან დაკავშირებით.

საკრებულოს წევრების შეკითხვებს უპასუხა მუნიციპალიტეტის **მერმა** და დეტალური განმარტებები გააკეთა თითოეულ შეკითხვასთან დაკავშირებით.

დ.ღაღანიძემ აღნიშნა, რომ განვლილ წელს გაწეული საქმიანობიდან გამომდინარე, ჩვენ ვალდებულები ვართ მუნიციპალიტეტის მერს გამოვუცხადოთ მადლობა და არ ვისაუბროთ გაურკვეველ პრობლემებზე.

გ.გიგიტელაშვილმა აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტში საგზაო უსაფრთხოების მიმართულებით ძალიან ცუდი მდგომარეობაა და დროულად უნდა მოხდეს რეაგირება. მან აგრეთვე ისაუბრა იმ ინფრასტრუქტურულ პროექტებზე რომელთა დაფინანსებისთვისაც საჭირო თანხები არ არის 2023 წლის ბიუჯეტში.

ლ.კოჭლოშვილმა დადებითად შეაფასა მუნიციპალიტეტის მერის მიერ გაწეული საქმიანობა და აღნიშნა, რომ ნაციონალური მოძრაობის წევრები საკრებულოს სხდომაზე პოლიტიკურ განცხადებებს კი არ უნდა აკეთებდნენ არამედ უნდა მსჯელობდნენ ბიუჯეტზე.

ი.კევლიშვილმა შენიშვნა გამოთქვა საახალწლო ღონისძიებისათვის გამოყოფილი თანხების მოცულობაზე და აღნიშნა, რომ ამ მოცულობის თანხები არ იხარჯება განვითარებულ ქვეყნებში, ჩვენ კი ვხარჯავთ როცა სხვა უამრავი პრობლემა გვაქვს.

ლ.ბერძენაშვილმა ისაუბრა 2023 წლის ბიუჯეტის თანხვედრაზე მოსახლეობის პრობლებეთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ ერთობლივად სამომავლოდ შევძლებთ დავძლიოთ მრავალი პრობლემა.

რ.ჩეკურიშვილმა დასვა კითხვა სოფელ ფშაველში საბავშვო ბაღის ექსპლუატაციაში შესვლასთან დაკავშირებული ღონისძიებების შესახებ.

ი.დალაქიშვილმა მადლობა გამოთქვა სოფელ გულგულაში განხორციელებულ სამუშაოებთან დაკავშირებით ამ ერთი წლის განმავლობაში და აგრეთვე ხაზი გაუსვა ელ.ენერგიის მიწოდებასთან დაკავშირებულ პრობლემებს.

<u>გადაწყვიტეს:</u> **დამტკიცდეს წარმოდგენილი პროექტი** (აღნიშნულ გადაწყვეტილებას **მხარი დაუჭირა** სხდომაზე დამსწრე საკრებულოს **26 (ოცდაექვსი)** წევრმა.

წინააღმდეგი - 02(ორი) წევრი: ი.კევლიშვილი, რ.იმერლიშვილი;

კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო: 06 (ექვსი) - ბ.რევაზიშვილი, გ.გიგიტელაშვილი, ე.გურგენაშვილი, ბ.გულიაშვილი, ა.კუპატაძე, გ.ჭვრიტიძე.

პირველი საკითხის განხილვის შემდგომ სხდომა დატოვეს საკრებულოს წევრებმა: **ბ.რევაზიშვილმა, გ.გიგიტელაშვილმა, გ.ჭვრიტიძემ, ბ.გულიაშვილმა, ე.გურგენაშვილმა,_____ი.კევლიშვილმა, ნ.ბახსოლიანმა, რ.იმერლიშვილმა, რ.ჩეკურიშვილმა, ა.კუპატაძემ.**

<u>2.მოისმინეს:</u> „თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სახელმწიფოსათვის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ“.

მომხს. ნ.მეტრეველი
თანამომხს. ზ.სახიაშვილი
12.30.სთ-დან-12.40სთ-მდე

<u>გადაწყვიტეს:</u> დამტკიცდეს წარმოდგენილი პროექტი (აღნიშნულ გადაწყვეტილებას **მხარი დაუჭირა** სხდომაზე დამსწრე საკრებულოს **ყველა** წევრმა).

<u>3.მოისმინეს:</u> თელავის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების შესახებ.

მომხს. ნ.მეტრეველი
თანამომხს. მ.ბაღუაშვილი
12.40.სთ-დან-12.50სთ-მდე

<u>გადაწყვიტეს:</u> დამტკიცდეს წარმოდგენილი პროექტი (აღნიშნულ გადაწყვეტილებას **მხარი დაუჭირა** სხდომაზე დამსწრე საკრებულოს **ყველა** წევრმა).

<u>4.მოისმინეს:</u> თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ა(ა)იპ „მოვუსმინოთ სამყაროსათვის" პირდაპირი განკარგვის წესით, დროებით სარგებლობის უფლებით უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ თანხმობის მიცემის თაობაზე.

მომხს. ნ.მეტრეველი
თანამომხს. ზ.სახიაშვილი
12.50.სთ-დან-13.00სთ-მდე

<u>გადაწყვიტეს:</u> დამტკიცდეს წარმოდგენილი პროექტი (აღნიშნულ გადაწყვეტილებას **მხარი დაუჭირა** სხდომაზე დამსწრე საკრებულოს **ყველა** წევრმა).

<u>5.მოისმინეს:</u> თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების შ.პ.ს „საქართველოს ფოსტისათვის" პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ.

მომხს. ნ.მეტრეველი
თანამომხს. ზ.სახიაშვილი
13.00.სთ-დან-13.10სთ-მდე

<u>გადაწყვიტეს:</u> დამტკიცდეს წარმოდგენილი პროექტი (აღნიშნულ გადაწყვეტილებას **მხარი დაუჭირა** სხდომაზე დამსწრე საკრებულოს **ყველა** წევრმა).

<u>6.მოისმინეს:</u> თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული გარე განათების კონსტრუქციებზე სს „სილქნეტის" მიერ ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელის განთავსების შესახებ თანხმობის მიცემის თაობაზე.

მომხს. ნ.მეტრეველი
თანამომხს. ზ.სახიაშვილი
13.10.სთ-დან-13.20სთ-მდე

<u>გადაწყვიტეს:</u> დამტკიცდეს წარმოდგენილი პროექტი (აღნიშნულ გადაწყვეტილებას **მხარი დაუჭირა** სხდომაზე დამსწრე საკრებულოს **ყველა** წევრმა.

7.მოისმინეს: თელავის მუნიციპალიტეტში დამხმარე ამოცანების შესრულების მიზნით შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის შესახებ.

მომხს. ნ.მეტრეველი
თანამომხს. თ.ზაზანაშვილი
13.20.სთ-დან-13.30სთ-მდე

გადაწყვიტეს: **დამტკიცდეს წარმოდგენილი პროექტი** (აღნიშნულ გადაწყვეტილებას **მხარი დაუჭირა** სხდომაზე დამსწრე საკრებულოს **ყველა** წევრმა).

8.მოისმინეს: თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 28 იანვრის N3 დადგენილებაში „თელავის მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა პროგრამის დამტკიცების შესახებ“ ცვლილებების შეტანის თაობაზე.

მომხს. ფ.ყუშიტაშვილი
თანამომხს. გ.ენუქიძე
13.30.სთ-დან-13.40სთ-მდე

გადაწყვიტეს: **დამტკიცდეს წარმოდგენილი პროექტი** (აღნიშნულ გადაწყვეტილებას **მხარი დაუჭირა** სხდომაზე დამსწრე საკრებულოს **ყველა** წევრმა).

9.მოისმინეს: „თელავის მუნიციპალიტეტში სახელმწიფო და თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო - სამეურნეო დანიშნულების მიწის ზონირებისა და ნორმატიული ფასის განსაზღვრის შესახებ“- ნორმატიული აქტის მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ.

მომხს. ლ.ბერძენაშვილი
13.40.სთ-დან-13.50სთ-მდე

გადაწყვიტეს: 1. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიებში და ფრაქციებში **თელავის მუნიციპალიტეტში სახელმწიფო და თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო - სამეურნეო დანიშნულების მიწის ზონირებისა და ნორმატიული ფასის განსაზღვრის შესახებ** - ნორმატიული აქტის პროექტის განხილვა განხორციელდეს 2023 წლის 20 იანვრამდე.

2. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს **თელავის მუნიციპალიტეტში სახელმწიფო და თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო - სამეურნეო დანიშნულების მიწის ზონირებისა და ნორმატიული ფასის განსაზღვრის შესახებ** - დადგენილების პროექტი საკრებულოს წარედგინოს დასამტკიცებლად - 2023 წლის 01 თებერვლამდე.

დამტკიცდეს წარმოდგენილი პროექტი (აღნიშნულ გადაწყვეტილებას **მხარი დაუჭირა** სხდომაზე დამსწრე საკრებულოს **ყველა** წევრმა).

10.მოისმინეს: თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 08 თებერვლის №12 დადგენილებაში „თელავის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე - ნორმატიული აქტის მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ.

მომხს. ლ.ბერძენაშვილი
13.50.სთ-დან-14.00სთ-მდე

<u>გადაწყვიტეს:</u> 1. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიებში და ფრაქციებში **თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 08 თებერვლის №12 დადგენილებაში „თელავის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე** - ნორმატიული აქტის პროექტის განხილვა განხორციელდეს 2023 წლის 20 იანვრამდე.

2. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს **თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 08 თებერვლის №12 დადგენილებაში „თელავის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე** - დადგენილების პროექტი საკრებულოს წარედგინოს დასამტკიცებლად - 2023 წლის 01 თებერვლამდე.

დამტკიცდეს წარმოდგენილი პროექტი (აღნიშნულ გადაწყვეტილებას **მხარი დაუჭირა** სხდომაზე დამსწრე საკრებულოს **ყველა** წევრმა).

<u>11.მოისმინეს:</u> „თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა თანამდებობრივი სარგოების და აპარატის პროფესიულ საჯარო მოხელეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ“ - ნორმატიული აქტის მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ.

მომხს. ლ.ბერძენაშვილი
14.00.სთ-დან-14.10სთ-მდე

<u>გადაწყვიტეს:</u> 1. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიებში და ფრაქციებში **„თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა თანამდებობრივი სარგოების და აპარატის პროფესიულ საჯარო მოხელეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ“** - ნორმატიული აქტის პროექტის განხილვა განხორციელდეს 2023 წლის 20 იანვრამდე.

2. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს **„თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა თანამდებობრივი სარგოების და აპარატის პროფესიულ საჯარო მოხელეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ“** - დადგენილების პროექტი საკრებულოს წარედგინოს დასამტკიცებლად - 2023 წლის 01 თებერვლამდე.

დამტკიცდეს წარმოდგენილი პროექტი (აღნიშნულ გადაწყვეტილებას **მხარი დაუჭირა** სხდომაზე დამსწრე საკრებულოს **ყველა** წევრმა).

<u>12.მოისმინეს:</u> ,,თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ - ნორმატიული აქტის მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ ვადის გაგრძელების თაობაზე.

მომხს. ლ.ბერძენაშვილი
14.10.სთ-დან-14.20სთ-მდე

<u>გადაწყვიტეს:</u> 1. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიებში და ფრაქციებში **„თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“** - ნორმატიული აქტის პროექტის განხილვა განხორციელდეს 2023 წლის 20 თებერვლამდე.

2. „თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ნორმატიული აქტის პროექტი საკრებულოს წარედგინოს დასამტკიცებლად 2023 წლის 01 მარტამდე.

დამტკიცდეს წარმოდგენილი პროექტი (აღნიშნულ გადაწყვეტილებას **მხარი დაუჭირა** სხდომაზე დამსწრე საკრებულოს **ყველა** წევრმა).

13.მოისმინეს: „თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ა(ა)იპ „საქართველოს სამედიცინო ჰოლდინგისათვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, დროებით სარგებლობის უფლებით უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ თანხმობის მიცემის თაობაზე“

მომხს. ზ.სახიაშვილი

14.20.სთ-დან-14.30სთ-მდე

გადაწყვიტეს: **დამტკიცდეს წარმოდგენილი პროექტი** (აღნიშნულ გადაწყვეტილებას **მხარი დაუჭირა** სხდომაზე დამსწრე საკრებულოს **ყველა** წევრმა).

14.მოისმინეს: „თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 29 დეკემბრის №29 განკარგულებაში „თელავის მუნიციპალიტეტის მუნიციპალური ნარჩენების მართვის ხუთწლიანი გეგმის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე“.

მომხს. თ.ხოსროშვილი

14.30.სთ-დან-14.40სთ-მდე

გადაწყვიტეს: **დამტკიცდეს წარმოდგენილი პროექტი** (აღნიშნულ გადაწყვეტილებას **მხარი დაუჭირა** სხდომაზე დამსწრე საკრებულოს **ყველა** წევრმა).

15.მოისმინეს: „თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 28 დეკემბრის №22 დადგენილებაში ,,თელავის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე - ნორმატიული აქტის მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“.

მომხს. ნ.ვაყელიშვილი

14.40.სთ-დან-14.50სთ-მდე

გადაწყვიტეს: 1. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიებში და ფრაქციებში **თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 28 დეკემბრის №22 დადგენილებაში ,,თელავის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე** - ნორმატიული აქტის პროექტის განხილვა განხორციელდეს 2023 წლის 20 იანვრამდე.

2. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს **თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 28 დეკემბრის №22 დადგენილებაში ,,თელავის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე** - დადგენილების პროექტი საკრებულოს წარედგინოს დასამტკიცებლად - 2023 წლის 01 თებერვლამდე.

დამტკიცდეს წარმოდგენილი პროექტი (აღნიშნულ გადაწყვეტილებას **მხარი დაუჭირა** სხდომაზე დამსწრე საკრებულოს **ყველა** წევრმა).

საკრებულოს თავმჯდომარე **თენგიზი მთვარელიშვილი**